

შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი

როგორ მოვემზადოთ

მასწავლებელთა საგნის გამოცდისათვის

გ ე ო გ რ ა ფ ი ა

თბილისი

2026

## ს ა რ ზ ე ვ ი

შესავალი .....	3
გეოგრაფიის მასწავლებელთა საგნის გამოცდის პროგრამა .....	4-8
დავალების ტიპების აღწერა.....	9-11
ტესტის ნიმუში.....	12-53
შეფასების სქემა.....	54-57

## შესავალი

წინამდებარე კრებულის დანიშნულებაა დაინტერესებულ პირებს გააცნოს მასწავლებლის საგნის გამოცდის მოთხოვნები და 2026 წლის საგამოცდო პროგრამა. რომელშიც აგრეთვე წარმოდგენილია 2025 წლის საგამოცდო ტესტი და შეფასების სქემა.

ტესტის მაქსიმალური ქულაა - 55, ხოლო ტესტირებისთვის განკუთვნილი დრო - 4 საათი.

კრებულში მოყვანილი ტესტის დავალებები მასწავლებელთა პროფესიული სტანდარტის საფუძველზეა შედგენილი.

ვიმედოვნებთ, ეს კრებული დახმარებას გაგიწევთ 2026 წლის მასწავლებელთა კომპეტენციის დადასტურების გამოცდისათვის მომზადების პროცესში.

საგამოცდო ტესტში არ გამოორდება კრებულში მოცემული არც ერთი დავალება.

*გისურვებთ წარმატებას!*

საგამოცდო კრებული წარმოადგენს „შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის“ საკუთრებას და დაცულია საქართველოს კანონით - „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“. „შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის“ ნებართვის გარეშე დაუშვებელია ტექსტში რაიმე ცვლილების შეტანა, რეპროდუქცია, თარგმნა და სხვა საშუალებებით (როგორც ბეჭდვითი, ასევე ელექტრონული ფორმით) გავრცელება, აგრეთვე იკრძალება საგამოცდო კრებულის გამოყენება კომერციული მიზნებისათვის.

გეოგრაფიის მასწავლებელთა საგნის გამოცდის პროგრამა

2026 წელი

საკითხთა ჩამონათვალი	საკითხის დაზუსტება
<b>1. პროფესიული უნარ-ჩვევები</b>	
<b>დრო და სივრცე</b>	<ul style="list-style-type: none"> <li>• რუკის ენის გაგება; რუკის ანალიზი; რუკისა და სხვა თვალსაჩინოებების (სქემა, დიაგრამა, ფოტო, ცხრილი, გრაფიკი) გამოყენებით ინფორმაციის ანალიზი;</li> <li>• სივრცეში ორიენტირება – ჰორიზონტის მხარეები, გრადუსთა ბადე; ადგილის მდებარეობის განსაზღვრა;</li> <li>• ლეგენდის გამოყენებით სიმბოლოების აღქმა;</li> <li>• რუკებიდან და სხვა თვალსაჩინოებებიდან (ფოტოები, გრაფიკები, ცხრილები, დიაგრამები და სხვ ) მოპოვებული ინფორმაციის დაკავშირება გეოგრაფიულ ცოდნასთან და ამის საფუძველზე ადგილის, მოვლენისა და პროცესების დახასიათება, კანონზომიერებების დადგენა;</li> <li>• რელიეფის, ჰიდროსფეროს, ატმოსფერული მოვლენების, ბუნებრივი რესურსების, განსახლების, მოსახლეობის დემოგრაფიული მახასიათებლების, სოციალური და ეკონომიკური სისტემების, სატრანსპორტო სისტემის შესახებ ინფორმაციის ანალიზი.</li> </ul>
<b>გეოგრაფიული ინტერპრეტაცია</b>	<ul style="list-style-type: none"> <li>• გეოგრაფიული ტერმინებისა და ცნებების ადეკვატური გამოყენება;</li> <li>• გეოგრაფიული ფაქტების მოსაზრებისგან განსხვავება;</li> <li>• გავრცელებული გეოგრაფიული სტერეოტიპების კონტრარგუმენტაცია.</li> </ul>
<b>კომუნიკაცია</b>	<ul style="list-style-type: none"> <li>• რუკებისა და სხვა თვალსაჩინოებების გამოყენებით საკუთარი მოსაზრებების გამოხატვა;</li> <li>• მოვლენებსა და პროცესებს შორის მიზეზ-შედეგობრივ კავშირებზე მსჯელობა;</li> <li>• გეოგრაფიული დავალების სპეციფიკის გათვალისწინებით სამუშაოს დანაწილება, განხილვა და სხვ.</li> </ul>
<b>2. პროფესიული ცოდნა</b>	
<b>გეოგრაფიის შესავალი</b>	<ul style="list-style-type: none"> <li>• გეოგრაფიის შესწავლის ობიექტი და მიზნები;</li> <li>• გეოგრაფიული ცოდნის განვითარება (ანტიკური ხანა, დიდი გეოგრაფიული აღმოჩენები, თანამედროვე გეოგრაფია);</li> <li>• მოგზაურები და მკვლევარები;</li> <li>• საქართველოსა და მსოფლიოს ნომენკლატურა;</li> <li>• გეოგრაფიული მეცნიერების თანამედროვე სისტემა;</li> </ul>

	<ul style="list-style-type: none"> <li>• გეოგრაფიული კვლევის მეთოდები: ტრადიციული (აღწერილობითი, შედარებით - გეოგრაფიული, კარტოგრაფიული) და თანამედროვე (მათემატიკური, აეროკოსმოსური, გეოინფორმაციული, მოდელირება);</li> <li>• გეოგრაფიული პროგნოზირება;</li> <li>• მდგრადი განვითარების არსი და პერსპექტივა.</li> </ul>
<p><b>გეგმა, რუკა და სხვადასხვა ტიპის თვალსაჩინოებები</b></p>	<ul style="list-style-type: none"> <li>• ადგილის გეგმა (კითხვა და გამოყენება);</li> <li>• სხვადასხვა ტიპის გეოგრაფიული რუკები და ატლასები, ტოპოგრაფიული რუკა (რუკის ლეგენდა, მასშტაბი, ორიენტირება, გრადუსთა ბადე, გრძედი და განედი, ეკვატორი, გეოგრაფიული და მაგნიტური პოლუსები, ტროპიკები და პოლარული წრეები, გეოგრაფიული კოორდინატები, ადგილის სიმაღლის განსაზღვრა (აბსოლუტური და შეფარდებითი სიმაღლეები), ანალიზი, ამოცანების შექმნა და გადაჭრა), კურვიმეტრი;</li> <li>• იზოხაზები (იზოჰიფსები, იზობათები, იზოთერმები, იზობარები);</li> <li>• ადგილზე ორიენტირება, კომპასი (გამოყენება, ამოცანების შექმნა და გადაჭრა);</li> <li>• გეოდეზიური ხელსაწყოების მუშაობის პრინციპები (ნიველირი, თეოდოლიტი, GPS);</li> <li>• სხვადასხვა ტიპის გეოგრაფიული თვალსაჩინოებების (ფოტო, ნახატი, სქემა, ცხრილი, გრაფიკი, დიაგრამა) კითხვა, ანალიზი, ამოცანების გადაჭრა, მათი გამოყენებით დავალებების შექმნა.</li> </ul>
<p><b>საბუნებისმეტყველო გეოგრაფია</b></p>	<ul style="list-style-type: none"> <li>• დედამიწის ფორმა და სიდიდე;</li> <li>• დედამიწის დღე-ღამური და წლიური მოძრაობა;</li> <li>• სასაათო ზოლები, თარიღთა ცვლის საერთაშორისო ხაზი;</li> <li>• გეოქრონოლოგია (განმარტება, სქემის ანალიზი);</li> <li>• ატმოსფერო, ლითოსფერო, ჰიდროსფერო და ბიოსფერო; დედამიწის ქერქი, ტექტონიკური ფილების მოძრაობა;</li> <li>• კონტინენტები და მისი ნაწილები (მდებარეობა, ბუნება, რესურსები);</li> <li>• ენდოგენური და ეგზოგენური რელიეფწარმომქმნელი პროცესები, რელიეფის ფორმები და ტიპები;</li> <li>• რელიეფის გავლენა კლიმატზე, მცენარეებზე, ცხოველებზე, მეურნეობაზე;</li> <li>• ამინდი და ჰავა;</li> <li>• ჰაერის ტემპერატურა, ტემპერატურის ცვლილება განედის, აბსოლუტური სიმაღლისა და ოკეანიდან დაშორების მიხედვით;</li> <li>• ჰაერის მასები (ატმოსფერული წნევა, ატმოსფერული ფრონტი, ციკლონი, ანტიციკლონი);</li> <li>• სხვადასხვა ტიპის ქარები, მათი წარმოშობა და გავრცელების კანონზომიერებები (ბრიზი, მუსონი, პასატი, ბორა, ფიონი);</li> </ul>

	<ul style="list-style-type: none"> <li>• წყლის ბრუნვა ატმოსფეროში, ჰაერის ტენიანობა, აორთქლება, აორთქლებადობა;</li> <li>• ღრუბელი, ნისლი და ატმოსფერული ნალექები, მათი სახეები, წარმოშობა და გავრცელების კანონზომიერებები (წვიმა, სეტყვა, თოვლი, ნამი, თრთვილი, ჭირხლი, ლიპყინული);</li> <li>• კლიმატის გავლენა ადამიანზე და მის სამეურნეო საქმიანობაზე (სოფლის მეურნეობაზე, ტრანსპორტზე, მშენებლობაზე, ადამიანის ჯანმრთელობაზე);</li> <li>• შიდა წყლები (მდინარეები, ტბები, მყინვარები, მიწისქვეშა წყლები, ჭაობები, წყალსაცავები), საზრდოობა და რეჟიმი, გავლენა რელიეფზე, მიკროკლიმატზე, მოსახლეობაზე, მეურნეობაზე;</li> <li>• ზღვებისა და ოკეანეების მდებარეობა და სიდიდე; მარილიანობა, წყლის ტემპერატურა, სიღრმე, მიქცევა-მოქცევა, დინებები, გავლენა კლიმატზე, ორგანული სამყარო, დაბინძურება, სრუტეები, ყურეები, კუნძულები;</li> <li>• ნიადაგის ტიპები და ნაყოფიერება, გავრცელების კანონზომიერება;</li> <li>• ზონალურობა (კლიმატური სარტყლები, ბუნებრივი ზონები და ვერტიკალური ზონალურობა, ფლორა და ფაუნა);</li> <li>• ბუნებრივი რესურსების გამოყენება, გავრცელება, მნიშვნელობა, კლასიფიკაცია და მდგრადი გამოყენება (კლიმატური, ნიადაგის, ჰიდრო, ჰელიო და ეოლური რესურსები, სასარგებლო წიაღისეული);</li> <li>• სტიქიური ბუნებრივი მოვლენები (ქარიშხალი, ტაიფუნი, ქარბორბალა (ტორნადო, სმერჩი), ვულკანიზმი, მიწისძვრა, ცუნამი, შტორმი, წყალდიდობა, წყალმოვარდნა, ღვარცოფი, მეწყერი, ზვავი, სეტყვა);</li> <li>• სხვადასხვა ტიპის ხელსაწყოები და მათი გამოყენების პრინციპი (თერმომეტრი, ფლუგერი, ანემომეტრი, ბარომეტრი, ნალექმზომი, ჰიგრომეტრი, ავტომატური მეტეოსადგურები, ექოლოტი, სეისმოგრაფი);</li> <li>• გარემოს დაცვა (საერთაშორისო გარემოსდაცვითი ორგანიზაციები (გრინფისი, ველური ბუნების მსოფლიო ფონდი), დაცული ტერიტორიების ტიპები, ბიომრავალფეროვნება).</li> </ul>
<p><b>საზოგადოებრივი გეოგრაფია</b></p>	<ul style="list-style-type: none"> <li>• გეოგრაფიული მდებარეობა;</li> <li>• მეურნეობის დარგები (სოფლის მეურნეობა, მრეწველობა, მომსახურების სფერო);</li> <li>• მოსახლეობის გეოგრაფია (მოსახლეობის სიმჭიდროვე, მიგრაცია (ტიპები, მიზეზები და ფაქტორები, ისტორიული და თანამედროვე ნაკადები, იძულებით გადაადგილებული პირები), განსახლების ტიპები და ურბანიზაცია (თავისებურებები, განვითარება);</li> <li>• მსოფლიო პოლიტიკური რუკის ფორმირება;</li> <li>• მოსახლეობის დინამიკა და დემოგრაფიული ვითარება (ისტორიული წარსულიდან დღემდე, დემოგრაფიული მაჩვენებლები (მოსახლეობის სქესობრივ-ასაკობრივი სტრუქტურა, შობადობის, მოკვდავობის, ბუნებრივი მატების კოეფიციენტები), კვლავწარმოების (აღწარმოების) ტიპები, განსხვავებები და მსგავსებები ქვეყნების მიხედვით, რასობრივი, ეთნიკური და რელიგიური სტრუქტურა;</li> </ul>

	<ul style="list-style-type: none"> <li>• რეგიონების და ქვეყნების კლასიფიკაცია დემოგრაფიული და სოციალური მაჩვენებლების მიხედვით (სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობის, შობადობის, მოკვდაობის, ჯანდაცვის და განათლების დონის მიხედვით); დემოგრაფიული გადასვლა, დემოგრაფიული პოლიტიკა);</li> <li>• მსოფლიოს რეგიონები (კავკასია, ჩრდილოეთი ამერიკა (აშშ და კანადა), ლათინური ამერიკა (კარიბის აუზი, ცენტრალური და სამხრეთი ამერიკა), ევროპა (ჩრდილოეთი ევროპა, დასავლეთი ევროპა, სამხრეთი ევროპა, აღმოსავლეთი ევროპა), აფრიკა (ჩრდილოეთი აფრიკა (მაღრიბი), დასავლეთი აფრიკა, ცენტრალური აფრიკა, აღმოსავლეთი აფრიკა სამხრეთი აფრიკა), აზია (ახლო აღმოსავლეთი (მაშრიყი), შუა აზია, სამხრეთი აზია, სამხრეთ-აღმოსავლეთი აზია, აღმოსავლეთი აზია), ავსტრალია და ოკეანეთი (ავსტრალია და ახალი ზელანდია, მელანეზია, მიკრონეზია, პოლინეზია));</li> <li>• ქვეყნები მმართველობის ფორმისა და ტერიტორიულ-ადმინისტრაციული მოწყობის მიხედვით;</li> <li>• ქვეყნები სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დონის მიხედვით (ჰუმანური განვითარების ინდექსი, მშპ, საარსებო მინიმუმი, გლობალიზაციის ინდექსი);</li> <li>• განვითარებული და განვითარებადი ქვეყნები (ჩრდილოეთი და სამხრეთი);</li> <li>• მსოფლიოს სახელმწიფოები: მდებარეობა, ბუნება, მმართველობის ფორმა, ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობა, მოსახლეობა, მეურნეობა, ეკონომიკური ცენტრები და ეკონომიკური მაჩვენებლები, კულტურული მრავალფეროვნება (აშშ, გაერთიანებული სამეფო, საფრანგეთი, გერმანია, იტალია, იაპონია, კანადა, ჩინეთი, ინდოეთი, ბრაზილია, ჩილე, სარ, ავსტრალია, ესპანეთი);</li> <li>• საერთაშორისო ორგანიზაციების კლასიფიკაცია სტატუსისა და საქმიანობის ტიპის მიხედვით (მნიშვნელოვანი საერთაშორისო სამხედრო-პოლიტიკური, ეკონომიკური, ჰუმანიტარული, სპორტული და გარემოსდაცვითი ორგანიზაციები - გაერო (იუნესკო, იუნისეფი), ნატო, ევროპის კავშირი, ევროპის საბჭო, დსთ, მსოფლიოს სავაჭრო ორგანიზაცია, ოპეკი, წითელი ჯვარი, სოკი);</li> <li>• გლობალიზაციის პროცესი (გლობალიზაცია, გლოსალიზაცია, ანტიგლობალიზაცია);</li> <li>• უმნიშვნელოვანესი გლობალური პრობლემები და მათი მოგვარების გზები (პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური, დემოგრაფიული, რასობრივი, ეთნიკური, რელიგიური, ეკოლოგიური);</li> <li>• მსოფლიოში მიმდინარე თანამედროვე პროცესები.</li> </ul>
საქართველოს გეოგრაფია	<ul style="list-style-type: none"> <li>• მდებარეობა და საზღვრები, ტერიტორიის ფორმირება;</li> <li>• მმართველობის ფორმა და ტერიტორიულ-ადმინისტრაციული მოწყობა;</li> <li>• ბუნება (მნიშვნელოვანი ფიზიკურ-გეოგრაფიული მახასიათებლები: კლიმატი, რელიეფი, შიდა წყლები, შავი ზღვა, ნიადაგები, ტყეები, ფლორა და ფაუნა);</li> <li>• ბუნებრივი და მინერალური რესურსები;</li> </ul>

- მოსახლეობა (გეოგრაფია, დემოგრაფია, მიგრაცია, ურბანიზაცია, მოსახლეობის საყოველთაო აღწერა);
- მოსახლეობის ეთნიკური და რელიგიური სტრუქტურა; სახასიათო ბუნებრივი და ანთროპოგენური ლანდშაფტები;
- ინფრასტრუქტურა (გზები და კომუნიკაციები (ელექტრო გადაამცემი ხაზები, გაზსადენები და ნავთობსადენები);
- მეურნეობის დარგები (მრეწველობა, სოფლის მეურნეობა, მომსახურების სფერო);
- კულტურული მრავალფეროვნება;
- გარემოსდაცვითი პრობლემები და სტიქიური მოვლენები (ატმოსფეროს, წყლის და ნიადაგის დაბინძურების საკითხები; მიწისძვრა, მეწყერი, ზვავი, ღვარცოფი, წყალდიდობა, სეტყვა, ქვათაცვენა);
- ბუნების დაცვა (სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციების როლი, დაცული ტერიტორიების გეოგრაფია, სტატუსი, შექმნის მიზეზები და მიზნები, მნიშვნელობა და დაცვის განსაკუთრებული ობიექტები, წითელი წიგნი და წითელი ნუსხა);
- საქართველოს რეგიონები (კომპლექსური გეოგრაფიული აღწერა სამხარეო დონეზე).

## დავალების ტიპების აღწერა

### დავალების I ტიპი

- კითხვა არჩევითი პასუხებით

დავალების აღწერა - დავალებაში დასმულია კითხვა, რომელსაც ახლავს ოთხი სავარაუდო პასუხი. მათგან მხოლოდ ერთია სწორი. არჩეული პასუხი უნდა გადაიტანეთ პასუხების ფურცელში ამგვარად: პასუხების შესაბამის უჯრედში გააკეთეთ აღნიშვნა - X. არც ერთი სხვა აღნიშვნა, ჰორიზონტალური თუ ვერტიკალური ხაზები, შემოხაზვა და ა. შ. ელექტრონული პროგრამის მიერ არ აღიქმება. თუ გასურთ პასუხების ფურცელზე მონიშნული პასუხის შესაცვლელად, მთლიანად გააფერადეთ უჯრა, რომელშიც დასვით X ნიშანი და შემდეგ მონიშნეთ პასუხის ახალი ვარიანტი (დასვით X ნიშანი ახალ უჯრაში). შეუძლებელია, ხელმეორედ აირჩიოთ ის პასუხი, რომელიც გადაასწორეთ.

დავალების პირობა შესაძლოა წარმოდგენილი იყოს სხვადასხვა ფორმით. მაგალითად, მოცემულია მოკლე ან მეტ-ნაკლებად ვრცელი შეკითხვა, მოკლე ტექსტი, ფოტო, სურათი, სქემა, გრაფიკი ან დიაგრამა, სხვადასხვა სახის რუკა ან რუკის ფრაგმენტი და ა.შ.

**დავალება ამოწმებს** - ფაქტობრივი მასალის, ცნებებისა და ტერმინების ცოდნას; მოვლენათა დამახასიათებელი ნიშნებისა და მიზეზ-შედეგობრივი კავშირების გამოვლენის, რუკებისა და სხვა თვალსაჩინოების ანალიზის, სასწავლო რესურსების გამოყენების უნარს. თითოეული დავალება 1 ქულით ფასდება. ნიმუშები მოცემულია 2024 წლის მასწავლებელთა სასერტიფიკაციო გამოცდის ტესტის დავალებების მაგალითზე.

## დავალების II ტიპი

- **ღია დავალება**

**დავალების აღწერა** - დავალებაში მოცემულია სხვადასხვა ტიპის ინფორმაცია (ტექსტი, ფიზიკური რუკა, ტოპოგრაფიული რუკა, სურათი, ნახაზი, გრაფიკი, ცხრილი და სხვ.). მათი ანალიზის საფუძველზე აპლიკანტმა უნდა უპასუხოს მოცემულ კითხვებს. მოგეთხოვებათ მოცემული ინფორმაციის ტრანსფორმაცია (მაგ.: ცხრილის საშუალებით მოცემული ინფორმაციის გამოხატვა გრაფიკულად) და ანალიზი. პასუხები უნდა ჩაწეროთ პასუხების ფურცელში გამოყოფილ ადგილზე (მაგ.: თუ დავალების პირობით მოთხოვნილი იქნება დიაგრამის ან გრაფიკის აგება, მაშინ პასუხების ფურცელში მოცემული იქნება საკოორდინატო სისტემის მატრიცა, რომელზეც უნდა ააგოთ გრაფიკი/დიაგრამა).

**დავალება ამოწმებს -**

ფაქტობრივი მასალის ცოდნის, ინფორმაციის გაგების, მისი ინტერპრეტაციის, სხვა და სხვა ინფორმაციის ერთმანეთთან დაკავშირების, დასკვნების, პროგნოზირების გაკეთებისა და არგუმენტაციის უნარს.

მოპოვებული ინფორმაციის ინტერპრეტაციისა და ტრანსფორმაციის, გრაფიკების, ცხრილებისა და დიაგრამების კითხვისა და შედგენის, მოვლენებისა და პროცესების დამახასიათებელი, არსებითი ნიშნების, მათ შორის, მიზეზ-შედეგობრივი კავშირების გამოვლენის, მოვლენათა და პროცესთა შედარების უნარს; კონკრეტული გეოგრაფიული ამოცანების გადაჭრის; საკუთარი აზრის არგუმენტირებულად დასაბუთების; ლოგიკური, კრიტიკული აზროვნების; პროცესებისა და მოვლენების შეფასების უნარს. ქულათა რაოდენობა განისაზღვრება კონკრეტული დავალების მიხედვით.

რუკის კითხვას, რუკის ლეგენდის გამოყენებას, რუკის მეშვეობით ადგილზე ორიენტირებას, უმოკლესი ან ხელსაყრელი მარშრუტების განსაზღვრას; ადგილის დახასიათებას; რუკაზე მოცემული გეოგრაფიული ობიექტების მახასიათებლების დადგენა/განსაზღვრას; რუკაზე მოცემული გეოგრაფიული ინფორმაციის ანალიზს; რუკის მიხედვით კონკრეტული ამოცანების ამოხსნის უნარი. საკუთარი აზრის არგუმენტირებულად დასაბუთების უნარს. ქულათა რაოდენობა განისაზღვრება კონკრეტული დავალების მიხედვით.

კრებულში მოცემულია 2025 წლის მასწავლებელთა სასერტიფიკაციო გამოცდის ტესტი და შეფასების სქემა.

✓ კითხვა არჩევითი პასუხებით

ინსტრუქცია


თითოეულ კითხვას ახლავს ოთხი სავარაუდო პასუხი. მათგან მხოლოდ ერთია სწორი. არჩეული პასუხი გადაიტანეთ პასუხების ფურცელში ამგვარად: პასუხების შესაბამის უჯრედში გააკეთეთ აღნიშვნა - X. არც ერთი სხვა აღნიშვნა, ჰორიზონტალური თუ ვერტიკალური ხაზები, შემოხაზვა და ა. შ. ელექტრონული პროგრამის მიერ არ აღიქმება. თუ გსურთ პასუხების ფურცელზე მონიშნული პასუხის გადასწორება, მთლიანად გააფერადეთ უჯრა, რომელშიც დასვით X ნიშანი და შემდეგ მონიშნეთ პასუხის ახალი ვარიანტი (დასვით X ნიშანი ახალ უჯრაში). შეუძლებელია, ხელმეორედ აირჩიოთ ის პასუხი, რომელიც გადაასწორეთ. თითოეული დავალება ფასდება 1 ქულით.

✓ ღია დავალება

ინსტრუქცია


ყურადღებით გაეცანით მოცემულ ინფორმაციას (ტექსტი; ფოტო; ცხრილი; გრაფიკი; დიაგრამა; ფიზიკური, კონტურული, ტოპოგრაფიული რუკები და სხვ.) და უპასუხეთ კითხვებს. პასუხი ჩაწერეთ პასუხების ფურცელში გამოყოფილ შესაბამის ადგილას. ქულათა რაოდენობა განისაზღვრება კონკრეტული დავალების მიხედვით.

(1) 1. რას ასახავს მოცემული რუკა?



- ა) სეისმურად აქტიურ ზონებს;
- ბ) მყინვარების ფართობის განაწილებას;
- გ) ბიომრავალფეროვნების ცხელ წერტილებს;
- დ) ნახშირორჟანგის ემისიის ინტენსივობას.


(1) 2. რა არის დიაგრამაზე ასახული ტენდენციის მთავარი გამომწვევი მიზეზი?



- ა) კლიმატის გლობალური ცვლილება;
- ბ) სეისმური და ვულკანური აქტივობა;
- გ) ელ-ნინოს და ლა-ნინიას მოქმედება;
- დ) ფილების ტექტონიკური მოძრაობა.


(1) 3. რომელი ინდექსის მიხედვით არის დაჯგუფებული სახელმწიფოები მოცემულ რუკაზე?

2022 წელი




- ა) ჰუმანური განვითარების;
- ბ) ჯინის;
- გ) გლობალიზაციის;
- დ) ლიბერალური დემოკრატიის.

(1) 4. რომელი ფერით (რიცხვით) არის აღნიშნული რუკაზე პორტუგალიის კოლონიები?



- ა) მწვანე (3);
- ბ) ლურჯი (2);
- გ) წითელი (1);
- დ) ყვითელი (4).

(1) 5. საქართველოს შესახებ რის დინამიკას ასახავს მოცემული დიაგრამა?



- ა) მიგრაციული სალდოს აბსოლუტური მონაცემის;
- ბ) უცხოეთიდან ფულადი გზავნილების მოცულობის;
- გ) მშპ ერთ სულ მოსახლეზე აშშ დოლარში;
- დ) იძულებით გადაადგილებულ პირთა რაოდენობის.

(1) 6. რომელი ფოტოა გადაღებული თრუსოს დაცული ლანდშაფტის ტერიტორიაზე?




(1) 7. რომელი მყინვარი მდებარეობს მდინარე ენგურის აუზში?




- ა) ადიში;
- ბ) თბილისა;
- გ) ბუბა;
- დ) დევდარაკი.

(1) 8. ჩამოთვლილთაგან რომელ სახელმწიფოში მდებარეობს სქემაზე გამოსახული შენობა?



- ა) საქართველოში;
- ბ) ისრაელში;
- გ) ახალ ზელანდიაში;
- დ) კუბაში.

(1) 9. რომელი სახელმწიფოს ეროვნული დღესასწაულია 14 ივლისი?






- ა) ჩინეთის;
- ბ) ისრაელის;
- გ) საფრანგეთის;
- დ) აშშ-ს.

(1) 10. რომელი მტკიცებაა მცდარი ჰორიზონტთან მიმართებით?

- ა) ჰორიზონტი დამკვირვებლის ხედვის არეში მოხვედრილი დედამიწის ზედაპირის ნაწილია;
- ბ) ხედვის დიამეტრი მატულობს დამკვირვებლის ზღ.დ. სიმაღლეზე ასვლის შესაბამისად;
- გ) ხედვის რადიუსი უფრო მეტია ოკეანის სანაპიროზე, ვიდრე ამავე ნაპირთან მდებარე მწვერვალიდან;
- დ) მთის მდინარის ხეობაში ჰორიზონტი უფრო შეზღუდულია, ვიდრე ზღვის სანაპიროზე.

(1) 11. რას ასახავს მოცემული რუკები (ლეგენდაში მონიშნულია საქართველოს და იმავე დიაპაზონში მყოფი სახელმწიფოების მონაცემი, ხოლო რუკაზე საქართველოს და იმავე დიაპაზონში მყოფი ქვეყნის კონტურები)?




- ა) უმუშევრობის დონეს;
- ბ) განათლების დონეს;
- გ) გენდერულ თანასწორობას;
- დ) დემოკრატიის ხარისხს.

**(1) 12. რომელია მართებული ინფორმაცია შავ ზღვასთან დაკავშირებით?**

- ა) ფაუნა უფრო მდიდარია თევზის სახეობათა მრავალფეროვნებით, ვიდრე ხმელთაშუა ზღვაში;
- ბ) ზედაპირული წყლის მარილიანობის მაჩვენებელი უფრო დაბალია, ვიდრე ბალტიის ზღვაში;
- გ) ზღვის აკვატორიაში წყალი არსად და არასდროს არ იყინება მისი სუბტროპიკული მდებარეობის გამო;
- დ) ხმელთაშუა და შავ ზღვებს შორის წყლის მიმოცვლის შემაფერხებელი ფაქტორია ბოსფორის სრუტის წყალქვეშა რელიეფი.

(1) 13. რა იზოხაზებია დატანილი მოცემულ რუკაზე?



- ა) იზოჰიფსი და იზოთერმა;
- ბ) იზოთერმა და იზოჰიეტა;
- გ) იზობათი და იზოჰიფსი;
- დ) იზობარი და იზოჰიეტა.

(1) 14. რისთვის არ გამოიყენება თეოდოლიტი?




- ა) გეოდეზიური სამუშაოებისთვის;
- ბ) ტოპოგრაფიული აგეგმვისათვის;
- გ) გეოგრაფიული კოორდინატების დადგენისას;
- დ) ქანების სტრუქტურის დადგენისას.

(1) 15. რომელ ქვეყანაშია გადაღებული ფოტოები?




- ა) ავსტრიაში;
- ბ) საფრანგეთში;
- გ) გერმანიაში;
- დ) შვეიცარიაში.

(1) 16. აფრიკის რუკაზე რომელი ციფრით აღნიშნულ ადგილს შეესაბამება მოცემული კლიმატური დიაგრამა?







- ა) 1
- ბ) 2
- გ) 3
- დ) 4

(1) 17. ჩამოთვლილთაგან რომელ პასუხშია გეოქრონოლოგიური თანმიმდევრობით (უბველესიდან ახალგაზრდისკენ) დალაგებული გეოლოგიური შრეები (A,B,C) და ნასხლეტი D?




- ა) A-B-C-D
- ბ) C-B-A-D
- გ) C-B-D-A
- დ) C-D-B-A

(1) 18. რომელი დემოგრაფიული პირამიდა შეესაბამება კატარის მოსახლეობის სტრუქტურას?




K - ათასი

(1) 19. ეკონომიკის სექტორებში დასაქმებულთა განაწილების კლარკ-ფიშერის მოდელის მიხედვით, რომელი ციფრით აღნიშნული გრაფიკი ასახავს მრეწველობაში დასაქმებულთა წილს?



- ა) 1
- ბ) 2
- გ) 3
- დ) 4


(1) 20. რა არის ნაჩვენები სატელიტურ ფოტოზე?



- ა) ციკლონი ჩრდილოეთ ნახევარსფეროში;
- ბ) ანტიციკლონი ჩრდილოეთ ნახევარსფეროში;
- გ) ციკლონი სამხრეთ ნახევარსფეროში;
- დ) ანტიციკლონი სამხრეთ ნახევარსფეროში.


(1) 21. რუკაზე ასახულია მოსახლეობისთვის გარკვეული რესურსის სავარაუდო დეფიციტის პროგნოზი 2050 წლისათვის. ჩამოთვლილთაგან რა ინფორმაციაა ასახული მოცემულ რუკაზე?

მოთხოვნილებისა და ხელმისაწვდომობის სავარაუდო თანაფარდობა  
2050 წლისთვის




- ა) წყლის რესურსებით უზრუნველყოფის დონე;
- ბ) პირველადი ჯანდაცვის ხელმისაწვდომობა;
- გ) სურსათით უზრუნველყოფის დონე;
- დ) სასკოლო განათლების ხელმისაწვდომობა.

(1) 22. რას ასახავს მოცემული რუკა?



- ა) ინგლისური ენის ცოდნის დონეს;
- ბ) ნარჩენების გადამუშავების დონეს;
- გ) წერა-კითხვის ცოდნის დონეს;
- დ) გარემოს დაბინძურების დონეს.


(1) 23. გაანალიზეთ ინფორმაცია და განსაზღვრეთ რომელი მტკიცებაა მართებული?



- ა) ევროპაში ახალშობილთა დაახლოებით 30% გაერთიანებულ სამეფოში იბადება;
- ბ) მსოფლიოში ახალშობილთა დაახლოებით 10% ჩინეთში იბადება;
- გ) აზიაში შობადობის ზოგადი კოეფიციენტი უფრო მაღალია, ვიდრე აფრიკაში;
- დ) აზიაში უფრო ნაკლები ბავშვი იბადება, ვიდრე დანარჩენ მსოფლიოში.


(1) 24. რას ასახავს დავალებაში მოცემული რუკა?

(2021 წ.)



- ა) ფერტილურ ასაკში ქალის მიერ გაჩენილი ბავშვების რაოდენობას;
- ბ) ჩვილთა მოკვდაობის მაჩვენებელს;
- გ) სხვაობას შობადობისა და მოკვდაობის კოეფიციენტებს შორის;
- დ) სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობის კოეფიციენტის ზრდას.


(1) 25. 2024 წლის მიუნხენის უსაფრთხოების ყოველწლიური კონფერენციის დაწყებამდე, მსოფლიოს 11 უმსხვილესი ეკონომიკის მქონე სახელმწიფოში ჩატარდა გამოკითხვა, რომლის მიზანიც იყო გაერკვიათ, თუ რას მიიჩნევენ მოქალაქეები საკუთარი ქვეყნისთვის უმთავრეს საფრთხედ. ქვემოთ მოყვანილია ოთხი საფრთხე, რომლებიც სხვადასხვა სახელმწიფოში დასახელდა პირველ ადგილზე. ჩამოთვლილთაგან რომელ სახელმწიფოში დასახელდა მთავარ საფრთხედ რუსეთი?



- ა) საფრანგეთში;
- ბ) გაერთიანებულ სამეფოში;
- გ) გერმანიაში;
- დ) ბრაზილიაში.


(1) 26. რის მიხედვითაა დაჯგუფებული სახელმწიფოები მოცემულ რუკაზე?

ინდექსი გამოთვლილია 2023 წლის მონაცემებით




- ა) ჩვილთა მოკვდაობის;
- ბ) ქალებისთვის არსებული უსაფრთხო გარემოს;
- გ) ერთ სულ მოსახლეზე მშპ-ს მოცულობის;
- დ) მოსახლეობაში რელიგიურობის ხარისხის.

(1) 27. ჩამოთვლილთაგან რომელი სახელმწიფოს მოქალაქეები ხარჯავენ უფრო მეტ თანხას ერთ სულ მოსახლეზე გაანგარიშებით?




- ა) ჩინეთის;
- ბ) აშშ-ის;
- გ) გაერთიანებული სამეფოს;
- დ) არაბთა გაერთიანებული საამიროების.

(1) 28. რომელი წერტილი მდებარეობს ჰიფსომეტრიულად უფრო მაღლა?




- ა) A
- ბ) B
- გ) C
- დ) D

(1) 29. რომელი მდინარის ვარდნაა უფრო ნაკლები?





- ა) მდ. ქალის;
- ბ) მდ. ხევის;
- გ) მდ. ბარულის;
- დ) მდ. მარეთის.

(1) 30. დაახლოებით რა აზიმუტით მდებარეობს C წერტილიდან მდ. მარეთის სათავე?




- ა)  $30^\circ$
- ბ)  $70^\circ$
- გ)  $95^\circ$
- დ)  $110^\circ$

(1) 31. რუკაზე რომელ მონაკვეთს შეესაბამება მოცემული პროფილი?



- ა) AB
- ბ) CD
- გ) EF
- დ) GH

(2) 32. სოფელ მიხეთის სკოლის მოსწავლეებმა გადაწყვიტეს მდ. სოთაზე საბანაოდ წასვლა. საბანაო ადგილის შერჩევას აზრი ორად გაიყო. მოსწავლეების ერთმა ნაწილმა A წერტილს მიანიჭა უპირატესობა, ხოლო მეორემ - B-ს. მოიყვანეთ ორი არგუმენტი, რის გამოც უპირატესობას A წერტილს მიანიჭებდით.



გადასვლა დავალების: II გვერდზე

რელიეფი

ძირითადი ჰორიზონტალები გავლებულია ყოველ 10 მეტრში



- ა) ძირითადი ჰორიზონტალები
- ბ) ძირითადი გამსხვილებული ჰორიზონტალები
- გ) დამატებითი ჰორიზონტალები (ნახევრადჰორიზონტალები)
- დ) ჰორიზონტალების სიმაღლის ნიშნულები მ-ში
- ე) კალთის დახრის მაჩვენებლები (ბერგშტრიხები)

სიმაღლის ნიშნულები ა) ძირითადი ბ) ჩვეულებრივი

სიმაღლის ნიშნულები ორიენტირებით

ფლატე (ბეკი) (16-სრამის სიღრმე მ-ში)

სრამები და დარტაფები

მცენარეული საფარი და ბრუნტი



წიწვოვანი ტყე

ფართოფოთლოვანი ტყე

შერეული ტყე

ხემცენარეების მახასიათებლები მ-ში: 20-საშუალო სიმაღლე, 0.20-მერქნის საშუალო სისქე, 6-ხეებს შორის საშუალო მანძილი




ქვიშნარი

გაუვალი და ძნელადგასაველელი ჭაობები (0.7-ჭაობის სიღრმე მ-ში)

ადვილადგასაველელი ჭაობები

საბზარო ქსელი




გზატკეცილი

გაუმჯობესებული გრუნტის გზები გასწვრივი მცენარეული ნარგავებით

გრუნტის გზები

მინდვრის და ტყის გზები

დასახლებული პუნქტები



საცხოვრებელი და სხვა ტიპის ნაგებობები

გამორჩეულად ცეცხლგამძლე ნაგებობები

ცალკე მდგომი კარმიდამოები


ეკლესიები

გადასვლა დავალების: [I გვერდზე](#)

(1) 33. ახსენით, 1980-იანი წლებიდან რამ გამოიწვია ჩინეთში ხორცის მოხმარების ასეთი მკვეთრი ზრდა.

# ხორცის მოხმარება სხვადასხვა ქვეყანაში

საშუალო წლიური მოხმარება 1 სულზე





Source: UN Food and Agriculture Organization / Our World in Data




(1) 34. რომელი კულტურული მცენარისგან დამზადებული პროდუქციის წარმოებაა ასახული რუკაზე (ამ პროდუქციის რეკლამირება მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში, მათ შორის, საქართველოშიც აკრძალულია).


წარმოების რაოდენობა ქვეყნების მიხედვით 2022 წელი




(2) 35. დიაგრამაზე ასახული ინფორმაციის მიხედვით, 2020 წელს 100 000 ადამიანზე გამოვლენილი კანის კიბოს დიაგნოზით ავსტრალია ლიდერობს. მეცნიერთა ვარაუდით, ყველაზე მეტად რა გეოგრაფიული ფაქტორი ახდენს გავლენას არსებულ სიტუაციაზე? პასუხი ახსენით.



(2) 36. განსაზღვრეთ ორი ძირითადი გეოგრაფიული ფაქტორი, რამაც ფოტოზე ასახული ჭაობის ეკოსისტემის წარმოქმნა განაპირობა. პასუხი ახსენით.




(4) 37. გაანალიზეთ რუკა და უპასუხეთ კითხვებს:



ნახ.1.



ნახ.2.



გადასვლა დავალების: II გვერდზე

**(1) 37.1.** რომელი მკვლევრის მოგზაურობების მარშრუტებია დატანილი რუკაზე?

- ა) ვასკო და გამას;
- ბ) დევიდ ლივინგსტონის;
- გ) იზნ ბატუტას;
- დ) მუნგო პარკის.



**(1) 37.2.** მკვლევრის მიერ აღმოჩენილ რომელ გეოგრაფიულ ობიექტს უწოდა მან თავისი ქვეყნის დედოფლის სახელი?

- ა) ცენტრალურ აფრიკაში აღმოჩენილ ტბას;
- ბ) სამხრეთ აფრიკაში აღმოჩენილ ქედს;
- გ) დასავლეთ აფრიკის ნაპირებთან აღმოჩენილ კუნძულს;
- დ) მდინარე ზამბეზზე აღმოჩენილ ჩანჩქერს.

**(2) 37.3.** აფრიკის რომელ რეგიონებში იმოგზაურა მკვლევარმა?

**(4) 38. გაანალიზეთ ინფორმაცია და უპასუხეთ კითხვებს:**

საერთაშორისო სამართალში დამკვიდრებულია სახელმწიფო საზღვრების ურღვევობისა და ეროვნულ უმცირესობათა თვითგამორკვევის პრინციპი. პირველი უზრუნველყოფს სახელმწიფოთა ტერიტორიულ მთლიანობას, მეორე კი სახელმწიფოში მცხოვრები ეროვნული უმცირესობების კულტურული იდენტობის დაცვას. 2014 წელს შოტლანდიისა და გაერთიანებული სამეფოს მთავრობებს შორის დაძაბული მოლაპარაკებების შედეგად გადაწყდა შოტლანდიის დამოუკიდებლობის რეფერენდუმის ჩატარება, შეკითხვით: „უნდა იყოს თუ არა შოტლანდია დამოუკიდებელი სახელმწიფო?“ (შედეგები მოცემულია დიაგრამა 1-ზე). ანალოგიური სურვილი გამოთქვა კატალონიის მთავრობამაც. 2014 წელს ესპანეთის საკონსტიტუციო სასამართლომ რეფერენდუმის ჩატარების საკითხი არაკონსტიტუციურად ცნო, მიუხედავად ამისა, 2017 წელს კატალონიაში ჩატარდა რეფერენდუმი, შეკითხვით: „გსურთ თუ არა კატალონია გახდეს დამოუკიდებელი სახელმწიფო რესპუბლიკური მმართველობით?“ (შედეგები მოცემულია დიაგრამა 2-ზე).




**(2) 38.1.** მოიყვანეთ ორი არგუმენტი, რის გამოც შოტლანდიის რეფერენდუმი შეიძლება ჩაითვალოს ლეგიტიმურად.

**(2) 38.2.** მოიყვანეთ ორი არგუმენტი, რის გამოც კატალონიის რეფერენდუმი შეიძლება ჩაითვალოს არალეგიტიმურად.

(8) 39. თანამედროვე მსოფლიოს ერთ-ერთი მთავარი გამოწვევა ენერგო რესურსებით უზრუნველყოფაა. ენერგო რესურსების ბაზარზე ფასებისა და მიწოდების თვალსაზრისით არასტაბილური სიტუაცია ჩამოყალიბდა. ქვემოთ მოცემულია ინფორმაცია, რომლის მიხედვითაც შეიძლება ვიმსჯელოთ 2022 და 2023 წლებში ევროპის კავშირის ბუნებრივი აირის ბაზარზე შექმნილ მდგომარეობაზე. გააანალიზეთ ინფორმაცია და უპასუხეთ კითხვებს:

### ევროკავშირში ბუნებრივი აირის ტრანსპორტირების ალტერნატიული გზები (2023 წელი)



\* ნორვეგიის მონაცემები 2022 წელს შედიოდა სხვა ქვეყნების მონაცემებში

გადასვლა დავალების: [II გვერდზე](#)

- (1) **39.1.** B დიაგრამის მიხედვით, რამდენ პროცენტს შეადგენდა რუსეთიდან ბუნებრივი აირის ექსპორტი ევროკავშირის ქვეყნებში 2022 წელს?  
ა) 5%  
ბ) 8%  
გ) 13%  
დ) 18%
- (2) **39.2.** ბუნებრივი აირის რა სახით ტრანსპორტირების მონაცემებს ასახავს თითოეული დიაგრამა?
- (1) **39.3.** რა მონაცემს გვიჩვენებს დიაგრამების თითოეულ სვეტზე დატანილი პროცენტული მაჩვენებლები?
- (1) **39.4.** ახსენით, რამ განაპირობა 2023 წელს 2022 წელთან შედარებით რუსეთიდან ბუნებრივი აირის მიწოდების მკვეთრი შემცირება.
- (1) **39.5.** 2022 წელს A დიაგრამის მიხედვით რომელი ორი სახელმწიფო იყო ევროკავშირისთვის ბუნებრივი აირის მიწოდების მხრივ ლიდერი?
- (2) **39.6.** B დიაგრამაზე ნორვეგიის 2022 წლის მონაცემები შედიოდა სხვა ქვეყნების მონაცემთა ერთობლიობაში. დიაგრამის შედგენის პრინციპიდან გამომდინარე, რამდენ პროცენტზე ნაკლები იქნებოდა ნორვეგიის მაჩვენებელი 2022 წელს? პასუხი დაასაბუთეთ.

გადასვლა დავალების: [I გვერდზე](#)

დავითი #	გეოგრაფიის მასწავლებლის ტესტის შეფასების სქემა მაქსიმალური ქულა 55	ქულა
1	ბ	1
2	ა	1
3	ა	1
4	ა	1
5	ბ	1
6	ნ	1
7	ა	1
8	ბ	1
9	ბ	1
10	ბ	1
11	ნ	1
12	ნ	1
13	ზ	1
14	ნ	1
15	ზ	1
16	ნ	1
17	ბ	1
18	ბ	1
19	ზ	1
20	ა	1
21	ა	1
22	ზ	1
23	ზ	1
24	ა	1
25	ზ	1
26	ზ	1
27	ნ	1
28	ნ	1
29	ზ	1
30	ზ	1
31	ნ	1

დავალება #	გეოგრაფიის მასწავლებლის ტესტის შეფასების სქემა მაქსიმალური ქულა 55	ქულა
32	<p><b>შეფასების სქემა:</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>• არასწორი პასუხი, არასრული პასუხი, პასუხი რომელიც არ აკმაყოფილებს კითხვის პირობას, ან პასუხი, რომელიც შეიცავს ფაქტობრივ შეცდომას, ფასდება 0 ქულით;</li> <li>• თითოეული სწორად დასახელებული არგუმენტი ფასდება 1 ქულით;</li> <li>• დავალების ჯამური ქულაა - 2.</li> </ul> <p><b>სწორი პასუხის ნიმუში:</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>✓ A წერტილამდე მისასვლელი მარშრუტი ნაწილობრივ მიუყვება ბილიკს (1 ქ.);</li> <li>✓ A წერტილი მდებარეობს ქვიშნარში (1 ქ.).</li> </ul>	2
33	<p><b>შეფასების სქემა:</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>• არასწორი პასუხი, არასრული პასუხი, პასუხი რომელიც არ აკმაყოფილებს კითხვის პირობას, ან პასუხი, რომელიც შეიცავს ფაქტობრივ შეცდომას, ფასდება 0 ქულით;</li> <li>• მართებული ახსნა ფასდება 1 ქულით.</li> </ul> <p><b>სწორი პასუხის ნიმუში:</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>✓ ეკონომიკური ზრდის შედეგად მოსახლეობის მსყიდველობის უნარიანობის ზრდამ.</li> </ul>	1
34	<p><b>შეფასების სქემა:</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>• არასწორი პასუხი, არასრული პასუხი, პასუხი რომელიც არ აკმაყოფილებს კითხვის პირობას, ან პასუხი, რომელიც შეიცავს ფაქტობრივ შეცდომას, ფასდება 0 ქულით;</li> <li>• სწორად დასახელებული პროდუქცია ფასდება 1 ქულით.</li> </ul> <p><b>სწორი პასუხის ნიმუში:</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>✓ თამბაქო.</li> </ul>	1
35	<p><b>შეფასების სქემა:</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>• არასწორი პასუხი, არასრული პასუხი, პასუხი რომელიც არ აკმაყოფილებს კითხვის პირობას, ან პასუხი, რომელიც შეიცავს ფაქტობრივ შეცდომას, ფასდება 0 ქულით;</li> <li>• სწორად დასახელებული გეოგრაფიული ფაქტორი ფასდება 1 ქულით;</li> <li>• მართებული ახსნა ფასდება 1 ქულით;</li> </ul> <p>დავალების ჯამური ქულაა - 2.</p> <p><b>სწორი პასუხის ნიმუში:</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>✓ მზის ულტრაიისფერი გამოსხივება / ოზონის შრის დეგრადაციის პრობლემა (1 ქ.);</li> <li>✓ ოზონის ხვრელის გაჩენის შედეგად ატმოსფერო ვეღარ აკავებს ულტრაიისფერ სხივებს, რის შედეგადაც კანის კიბოს განვითარების რისკი მატულობს. ეს ხვრელი გეოგრაფიულად ყველაზე ახლოს მდებარეობს ავსტრალიასთან (1 ქ.).</li> </ul>	2
36	<p><b>შეფასების სქემა:</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>• არასწორი პასუხი, არასრული პასუხი, პასუხი რომელიც არ აკმაყოფილებს კითხვის პირობას, ან პასუხი, რომელიც შეიცავს ფაქტობრივ შეცდომას, ფასდება 0 ქულით;</li> <li>• თითოეული სწორად დასახელებული გეოგრაფიული ფაქტორი ფასდება 1 ქულით;</li> </ul> <p>დავალების ჯამური ქულაა - 2.</p> <p><b>სწორი პასუხის ნიმუში:</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>✓ ჭარბი ტენი, ანუ მოსული ატმოსფერული ნალექი ვერ ახერხებს აორთქლებას (1 ქ.);</li> <li>✓ რელიეფს არ აქვს დახრილობა, ცუდი დრენაჟი - მიწისქვეშა წყალგაუმტარი ფენები ზედაპირთან ახლოს მდებარეობს და მათ მიერ ხდება წყლის შეკავება. (1 ქ.).</li> </ul>	2
37.1	ბ	1

დავალება #	გეოგრაფიის მასწავლებლის ტესტის შეფასების სქემა მაქსიმალური ქულა 55	ქულა
37.2	დ	1
37.3	<p><b>შეფასების სქემა:</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>• არასწორი პასუხი, არასრული პასუხი, პასუხი რომელიც არ აკმაყოფილებს კითხვის პირობას, ან პასუხი, რომელიც შეიცავს ფაქტობრივ შეცდომას, ფასდება 0 ქულით;</li> <li>• თითოეული სწორად დასახელებული რეგიონი ფასდება 1 ქულით; დავალების ჯამური ქულაა - 2.</li> </ul> <p><b>სწორი პასუხის ნიმუში:</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>✓ იმოგზაურა ცენტრალურ აფრიკაში (1 ქ.);</li> <li>✓ და სამხრეთ აფრიკაში (1 ქ.).</li> </ul>	2
38.1	<p><b>შეფასების სქემა:</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>• არასწორი პასუხი, არასრული პასუხი, პასუხი რომელიც არ აკმაყოფილებს კითხვის პირობას, ან პასუხი, რომელიც შეიცავს ფაქტობრივ შეცდომას, ფასდება 0 ქულით;</li> <li>• თითოეული სწორად მოყვანილი არგუმენტი ფასდება 1 ქულით; დავალების ჯამური ქულაა - 2.</li> </ul> <p><b>სწორი პასუხის ნიმუში:</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>✓ შოტლანდიის რეფერენდუმი ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლების ურთიერთშეთანხმების საფუძველზე ჩატარდა (1 ქ.);</li> <li>✓ მასში მონაწილეობა მიიღო მოსახლეობის უმრავლესობამ (85%) ამიტომ შეიძლება მისი ლეგიტიმურად ცნობა (1 ქ.);</li> </ul>	2
38.2	<p><b>შეფასების სქემა:</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>• არასწორი პასუხი, არასრული პასუხი, პასუხი რომელიც არ აკმაყოფილებს კითხვის პირობას, ან პასუხი, რომელიც შეიცავს ფაქტობრივ შეცდომას, ფასდება 0 ქულით;</li> <li>• თითოეული სწორად მოყვანილი არგუმენტი ფასდება 1 ქულით; დავალების ჯამური ქულაა - 2.</li> </ul> <p><b>სწორი პასუხის ნიმუში:</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>✓ კატალონიის რეფერენდუმის ჩატარება უკანონოდ ცნო ესპანეთის საკონსტიტუციო სასამართლომ (1 ქ.);</li> <li>✓ მასში მონაწილეობა არ მიიღო მოსახლეობის ნახევარზე მეტმა ადამიანმა (57%) ამიტომ იგი შეიძლება ჩაითვალოს არალეგიტიმურად (1 ქ.);</li> </ul>	2
39.1	დ	1
39.2	<p><b>შეფასების სქემა:</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>• არასწორი პასუხი, არასრული პასუხი, პასუხი რომელიც არ აკმაყოფილებს კითხვის პირობას, ან პასუხი, რომელიც შეიცავს ფაქტობრივ შეცდომას, ფასდება 0 ქულით;</li> <li>• თითოეული სწორად დასახელებული ტრანსპორტირების სახეობის შესაბამისი დიაგრამა ფასდება 1 ქულით; დავალების ჯამური ქულაა - 2.</li> </ul> <p><b>სწორი პასუხის ნიმუში:</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>✓ A - მილსადენებით (1 ქ.);</li> <li>✓ B - ტანკერებით (1 ქ.).</li> </ul>	2

დავითაძე #	გეოგრაფიის მასწავლებლის ტესტის შეფასების სქემა მაქსიმალური ქულა 55	ქულა
39.3	<p><b>შეფასების სქემა:</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>• არასწორი პასუხი, არასრული პასუხი, პასუხი რომელიც არ აკმაყოფილებს კითხვის პირობას, ან პასუხი, რომელიც შეიცავს ფაქტობრივ შეცდომას, ფასდება 0 ქულით;</li> <li>• სწორი პასუხი ფასდება 1 ქულით.</li> </ul> <p><b>სწორი პასუხის ნიმუში:</b></p> <p>✓ ევროპის კავშირისთვის სხვადასხვა ქვეყნების მიერ ბაზარზე ბუნებრივი აირის მიწოდების წილს.</p>	1
39.4	<p><b>შეფასების სქემა:</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>• არასწორი პასუხი, არასრული პასუხი, პასუხი რომელიც არ აკმაყოფილებს კითხვის პირობას, ან პასუხი, რომელიც შეიცავს ფაქტობრივ შეცდომას, ფასდება 0 ქულით;</li> <li>• მართებული ახსნა ფასდება 1 ქულით.</li> </ul> <p><b>სწორი პასუხის ნიმუში:</b></p> <p>✓ უკრაინის ომთან დაკავშირებით რუსეთს ევროკავშირმა სანქციები დაუწესა და ცდილობს რუსეთისგან ენერგოდამოუკიდებლობას.</p>	1
39.5	<p><b>შეფასების სქემა:</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>• არასწორი პასუხი, არასრული პასუხი, პასუხი რომელიც არ აკმაყოფილებს კითხვის პირობას, ან პასუხი, რომელიც შეიცავს ფაქტობრივ შეცდომას, ფასდება 0 ქულით;</li> <li>• სწორად დასახელებული ორივე სახელმწიფო ფასდება 1 ქულით.</li> </ul> <p><b>სწორი პასუხის ნიმუში:</b></p> <p>✓ ნორვეგია და რუსეთი.</p>	1
39.6	<p><b>შეფასების სქემა:</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>• არასწორი პასუხი, არასრული პასუხი, პასუხი რომელიც არ აკმაყოფილებს კითხვის პირობას, ან პასუხი, რომელიც შეიცავს ფაქტობრივ შეცდომას, ფასდება 0 ქულით;</li> <li>• სწორად დასახელებული პროცენტული მაჩვენებელი ფასდება 1 ქულით;</li> <li>• მართებული ახსნა ფასდება 1 ქულით;</li> </ul> <p>დავალების ჯამური ქულაა - 2.</p> <p><b>სწორი პასუხის ნიმუში:</b></p> <p>✓ 5%-ზე ნაკლები (1 ქ.);</p> <p>✓ რადგან 2023 წლის დიაგრამიდან ირკვევა, რომ 2022 წელს ალჟირის მონაცემი იყო 5% და მასზე ინფორმაცია ცალკე იყო მოცემული, მაშასადამე ნორვეგიის მონაცემი 5%-ზე ნაკლები უნდა ყოფილიყო, თუ ის 2022 წლის დიაგრამაზე სხვა ქვეყნების მონაცემებთან ერთად განიხილებოდა. (1 ქ.).</p>	2